ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 186

"8" ივლისი 2016 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №28-სა და №30-ის მიმდებარედ 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.05.002.090) ფიზიკური პირი ვახიდ ბაბაევისთვის (პ/ნ №01027002073) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე თანხმობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის -"ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1-ის „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესი" მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №28-სა და №30-ის მიმდებარედ 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.05.002.090) ფიზიკური პირი ვახიდ ბაბაევისთვის (პ/ნ №01027002073) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის შესათანხმებლად წარდგენის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2016 წლის 22 ივნისის №24.25.526 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, გორგასლის ქუჩა №28-სა და №30-ის მიმდებარედ 20 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (ს/კ №01.18.05.002.090) პირდაპირი განკარგვის წესით ვახიდ ბაბაევისთვის (პ/ნ №01027002073) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური 2 900 (ორიათას ცხრაასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი